



ბიულეტენი №14

კვირის მიმოხილვა

08.07 -14.07.2013

14-18 ივლისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

მონიტორინგი

- სამთაწყაროს მოვლენები ხოჯას მიერ სოფლის დატოვებისა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სამთაწყაროელებთან შეხვედრის კუთხით იყო აქტუალური. გაშუქების მხრივ პატრიარქთან შეხვედრას მედია საშუალებებმა მეტი ყურადღება დაუთმეს, ვიდრე მუსლიმთა სასულიერო პირის მიერ სოფლის დატოვებას;
- სიძულვილის ენას ნაციონალური მოძრაობის მიმართ როგორც ჟურნალისტების (გაზეთები “ასავალ-დასავალი”, “ალია”), ასევე რესპონდენტების (კახა თარგამაძე, შს ყოფილი მინისტრი; ლალი ანთია, “ქალები მშვიდობისათვის”) მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას ჟურნალისტთა (ტელეკომპანია “კავკასია”, თოქ-შოუ “სპექტრი”; გაზეთი “ასავალ-დასავალი”) მხრიდან, ხოლო რელიგიურ თემებზე პოლიტიკურ ინსინუაციებს როგორც პოლიტიკოსების (შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია), ასევე სასულიერო პირების (მამა ელიზბარ დიაკონიძე, მეუფე იაკობი) მხრიდან ჰქონდა ადგილი. იმატა პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ მიმართულმა კრიტიკამ უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო;
- პოზიტიური გაშუქების მაგალითებად მუსლიმთა რელიგიური დღესასწაულის რამაზანის შესახებ მომზადებული მასალები უნდა ჩაითვალოს (საზოგადოებრივი მაუწყებელი, “მომხმე”, გაზეთი “24 საათი”);

ხოჯამ სამთაწყარო დატოვა



მთავარი თემა - გვ. 2

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და ის შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

მთავარი თემები

სამთაწყაროს თემატიკა მედიაში	2
სიძულვილის ენა	4
რელიგია	4
ცრურწმენები	6
ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია	7
სექსუალური უმცირესობები	8

გაგრძელება გვ. 2



კვირის მიმოხილვა

დასაწყისი გვ.1

- ცრუ რწმენების გავრცელებას დამოკიდებული საპრეზიდენტო კანდიდატის მიხეილ-გელა სალუაშვილის მხრიდან საარჩევნო მარკირების წესთან დაკავშირებით ჰქონდა ადგილი, ხოლო მართლმადიდებელთა კრებულის მიერ ჩატარებული პრეზენტაციის გაშუქება (ტელეკომპანია “მაესტრო”) ევროპულ ქვეყნებში ელექტრონულ ID ბარათებთან დაკავშირებით მაყურებლის სათანადოდ ინფორმირებას ხელს არ უწყობდა ;
- სოციალური პრობლემების ემიგრაციის თემასთან არამართებულ დაკავშირებას რესპონდენტების მხრიდან (დავით ჭიჭინაძე, “ობიექტივის” მაყურებლის სატელეფონო ზარი) ჰქონდა ადგილი. ერთ შემთხვევაში ასეთ განცხადებებს წამყვანის მხრიდან (სპექტრი, “კავკასია”) არასწორი ინფორმაციის გავრცელება მოჰყვა; ხოლო მეორე შემთხვევაში მაყურებლის აშკარად დისკრიმინაციულ გამოხატვაზე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ გადაცემის წამყვანის მხრიდან (“ობიექტივი”) მაუწყებელთა ქცევის კოდექსით მსგავს ვითარებებისთვის დადგენილი წესის (მუხლი 33.4) დაცვა არ მოჰყოლია;
- წინა პერიოდებთან შედარებით იკლო სექსუალური უმცირესობების თემატიკის გაშუქებამ, თუმცა იგი კვლავ 17 მაისის მოვლენებთან და ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის ამ თემაზე გაკეთებულ შეფასებებთან კავშირში იყო აქტუალური.

სამთაწყაროს თემატიკა მედიაში

მოამბე, 9 ივლისი

ხოჯა სულიკო ხოზრევანიძის მიერ, მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად მიღებული სტრესის გამო, მკურნალობის მიზნით სამთაწყაროს დატოვებას “მოამბემ” ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა. წარმოდგენილია, როგორც თავად ხოჯას და მისი მეუღლის პოზიცია, ასევე სოფლის რწმუნებულის გულო ნადირაშვილის კომენტარი, რომ პარასკევის ღვინის ჩატარების პრობლემა სოფელში არ არსებობს. სიუჟეტში მოყვანილია არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის წარმომადგენლის გიორგი მშვენიერაძის შეფასება, რომ ხოჯაზე ფარულ ზეწოლას ჰქონდა ადგილი და რომ სამთაწყაროში ძალადობაზე ხელისუფლება სათანადოდ არ რეაგირებს. ამასთანავე მოყვანილია სამთაწყაროს მკვიდრის დისკრიმინაციული კომენტარი, რომელიც აქცენტს ქრისტიანობის უპირატესობაზე აკეთებს.

გურამ შანიძე, სამთაწყაროს მკვიდრი: „ეს მიწა ისეთი მიწაა, რომ არ არის საჭირო აქა მგის გაკეთება. საქართველოს ნებისმიერ კუთხეზე ტანჯული და ცოდვილი მიწა ეს არის და ჩვენ გვინდა, რომ ეს ტანჯული მიწა უფრო ქრისტიანად და უფრო ჩვენი მომავალი თაობა იყოს ქრისტიანი.“

ჟურნალისტი სულიკო ხოზრევანიძის მეუღლეზე დაყრდნობით, ახდენს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას იმის შესახებ, რომ ხოჯა სამთაწყაროში დაბრუნებას აღარ აპირებს. თუმცა, ჟურნალისტი არ აკონკრეტებს მედია საშუალებას და უთითებს ზოგადად კახეთის რეგიონალურ მედიას, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ინფორმაციის წყარო კახეთში არსებული ყველა მედია საშუალებაა.

http://www.myvideo.ge/?video_id=2090419

რეზონანსი, 9 ივლისი

ხოჯას მიერ სოფლის დატოვების შესახებ ინფორმაცია “რეზონანსმაც” გაავრცელა.

http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=16327

რუსთავი 2, კურიერი, 10 ივლისი

კურიერში გავიდა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის შეხვედრის ამსახველი მასალა სამთაწყაროელ მუსლიმებსა და ადგილობრივ მართლმადიდებლებს შორის, რომელიც საპატრიარქოში შედგა. პატრიარქმა ისაუბრა მუსლიმებისა და ქრისტიანების მშურ დამოკიდებულებაზე, ამასთანავე მან აღნიშნა, რომ დაპირისპირებას არავითარი საფუძველი არ აქვს და რომ მიმდინარე მოვლენები პროვოცირებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ სიუჟეტში გამოყენებული შემდგომი კომენტარებიც ძირითადად პროვოკაციაზე აკეთებს აქცენტირებას.

სამთაწყაროს თემატიკა მედიაში

ილია II, კათალიკოს-პატრიარქი: *“ხელოვნურად არ უნდა შექმნათ ეს. არ უნდა მოვუსმინოთ პროვოკატორებს.”*

გულო ნადირაშვილი, სამთაწყაროს რწმუნებული: *“ვიდაცას უნდოდა ჩვენი სოფლის სახელით შუღლი ჩამოეგდო.”*

სამთაწყაროს მკვიდრი სიმონ ცინცამე აცხადებს, რომ მათ ხელმოწერები სახლში ლოცვისთვის შეაგროვეს, რისი გადაკეთებაც პროვოკაციის სახით მოხდა. ამასთანავე ის საუბრობს წალკის მუფტის მიერ ხელმოწერებით მანიპულირებაზე მეჩეთის მშენებლობის მიზნით. სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი წალკის მუფტის კომენტარი, რომელიც ბრალდების ადრესატია.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავად მუსლიმთა სასულიერო პირი - სულიკო ხოზრევანიძე, რომელზეც მუდმივად ხორციელდებოდა ზეწოლა პარასკევის ლოცვასთან მიმართებით, შეხვედრას არ დასწრებია. ამ არსებით გარემოებაზე ყურადღება არც სხვა მედია საშუალებებს გაუმახვილებიათ.

http://www.myvideo.ge/?video_id=2091981

მაესტრო, 10 ივლისი

მაესტროს სიუჟეტშიც საუბარია დაპირისპირების პროვოცირებაზე.

ილია II, კათალიკოს-პატრიარქი: *“ზოგიერთს უნდა, რომ უთანხმოება იყოს.”*

სიმონ ცინცამე, სამთაწყაროს მკვიდრი: *„ვიყავით დღემდე ძალიან კარგად. რომელიღაცა ძალებმა გამოიყენეს ეს სამუსულმანო წალკისა და დიდი სამუსულმანო რწმუნის დიდმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც წარმოშვეს ეს დაპირისპირება.“*

http://www.myvideo.ge/?video_id=2091185

მოამბე, 10 ივლისი

მოამბის სიუჟეტში აქცენტი გაკეთდა პატრიარქის სიტყვებზე, რომ ის არ დაუშვებს მისი სულიერი შვილების, როგორც ქრისტიანების, ასევე მუსლიმების დაჩაგვრას. ჟურნალისტმა სარედაქციო ტექსტში აღნიშნა, რომ შეხვედრაზე

საუბარი დაპირისპირებაში გარე ძალების დაინტერესებაზეც იყო. მნიშვნელოვანია, რომ სხვა არხებისგან განსხვავებით, “მოამბემ” ბეგრანდში სრულფასოვნად გადმოსცა დაპირისპირების არსი, რაც სოფელში სამლოცველოს ფუნქციონირებას უკავშირდებოდა: ტრადიციული ლოცვის რამდენჯერმე ჩაშლა და ის ფაქტი, რომ მიღებული ფსიქოლოგიური სტრესის გამო, ხოჯამ მკურნალობის მიზნით, სოფელი დატოვა.

მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. დაპირისპირების პროვოცირების თემა განვრცობილი არ ყოფილა და მხოლოდ ჟურნალისტის მიერ იყო გადმოცემული.

http://www.myvideo.ge/?video_id=2091141

მე-9 არხი, ახალი 9-ზე, 10 ივლისი

სამთაწყაროში ადგილობრივებს შორის დაპირისპირების ხელოვნურობისა და გარე ძალების ინსპირირების თემა მე-9 არხმაც სარედაქციო ტექსტში გამოიტანა, თუმცა არ განუვრცია. აღნიშნული იყო ისიც, რომ დაპირისპირება სოფელში პარასკევის ტრადიციული ლოცვის ხელისშემშლას უკავშირდებოდა.

http://www.myvideo.ge/?video_id=2091983

რუსთავი 2, კურიერი, 13 ივლისი

სიუჟეტი შეეხება ბრიტანელი იმამის ტაჯ ჰარგის პროტესტს სამთაწყაროში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მოყვანილია იმამის სიტყვები — “ამას იესო არ იზამდა“, ასევე აღნიშნულია, რომ იგი პროტესტის გამოხატვას ლონდონში, საქართველოს საელჩოსთან აქციით აპირებს, ხოლო ევანგელისტურ-ბაბტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი და იმამი ერთობლივი ლოცვის ავლენას გეგმავენენ.

http://www.myvideo.ge/?video_id=2092912

საზოგადოებრივი მაუწყებელი, დიალოგი, 8 ივლისი

არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის წარმომადგენელი” გიორგი მშვენიერაძე სამთაწყაროში პოლიციის ქმედებებს აფასებს.

<http://1tv.ge/video/18882>

სიძულვილის ენა

ასავალ-დასავალი 8-14 ივლისი

ჟურნალისტი, გიორგი გიგაური:

“ზატონო ბიძინა, ქართველების მაღალი პოლიტიკური კულტურა რომ არა, სხვა ჩვენს ადგილზე, სააკაშვილის პარტიის ჯალათებს მთელი ქვეყნის მასშტაბით გზის პირას ხეებზე ფეხებით დაჰკიდებდა, ხორცს ჩამოათლიდა და ზედ მარილს დააყრიდა!”

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/977/977.pdf>

ალია, 12-15 ივლისი

ნინოს სამხარაძე, ჟურნალისტი:

“ჩიორა ხარ თუ ჩიტქალა - მოკეტე და შეეშვი თვალების ბრალით პროვოკაციულ გამოხტომებს, თორემ გავიერთიანებენ მაგ დაზომბირებულ სივათს.”

კვირის პალიტრა, 8-14 ივლისი

კახა თარგამაძე, შს ყოფილი მინისტრი:

„დასაჭერები კი არა დასახვრეტები არიან [ნაციონალური მოძრაობის წევრები]! სარი უნდა მაშას, სარი“..

<http://www.kvirispalitra.ge/politic/15171-qasethi-qbanbanerkaq-qarthvelebis-arasodes-mesmodaq.html>

ასავალ-დასავალი 8-14 ივლისი

ლალი ანთია, “ქალები მშვიდობისათვის”:

“საკაშვილი იმის ღირსია, რომ იმ სამალავებში გააუპატიურო, სადაც მისი ჯალათები აუპატიურებდნენ მაგიდაზე დაბმულ მამაკაცებს!”

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/977/977.pdf>

რელიგია

კავკასია, სპექტრი, 8 ივლისი

სპექტრის წამყვანი დავით აქუბარდია მოსამართლეთა სანდოობის ტესტად ისეთ კრიტერიუმებს ასახელებს, როგორცაა ეკლესიურობა და იელოვას მოწმებთან მოსამართლეთა დამოკიდებულება. ადგილი აქვს სტერეოტიპის დამკვიდრებას, რომ მოსამართლე აუცილებლად მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი უნდა იყოს და რელიგიური უმცირესობების მიმართ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს.

დავით აქუბარდია, წამყვანი: “ 1 არხს მისცეს კულაშვილის კანტორამ [უზენაესი სასამართლო] ნებართვა, რომ ყველა რაიონის მოსამართლე წარუდგინოს საზოგადოებას. ცოლშვილთან როგორ ურთიერთობაშია, დედასთან რამდენჯერ დადის. ეკლესიაში დადის თუ არა? იელოვას მოწმებთან როგორ არის? ნდობას ეს ალადგენს.”

http://www.myvideo.ge/?video_id=2091039

ასავალ-დასავალი 8-14 ივლისი

ჟურნალისტი გიორგი გიგაური შეურაცხმყოფელი ტერმინით “მწვალებელთა სექტად” მოიხსენიებს იეჰოვას მოწმეებს, ხოლო სასულიერო პირის ზასილ მკალავიშვილის დაკავებას, მის მიერ რელიგიურ უმცირესობების მიმართ განხორციელებული ძალადობისა და რელიგიური ლიტერატურის დაწვის გამო, სააკაშვილის მიერ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აფასებს.

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: “საკაშვილი სულიერად გვფრცქვნიდა, როდესაც იელოველთა მწვალებლური სექსტის დასაცავად გლდანის ეკლესია სპეცრაზმის შტურმით აიღო და თავის ჯალათებს წმინდა საკურთხეველი წააბილწინა!.. აჭარა და ბათუმი კი, პრაქტიკულად, თურქებს გადაულოცა!”

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/977/977.pdf>

ალია, 11 ივლისი

სამების საკათედრო ტაძრის დიაკონი ელიზბარ დიაკონიძე პრემიერ-მინისტრს პრესკონფერენციაზე რელიგიურ ექსტრემიზმთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პასუხის გამო აკრიტიკებს.

რელიგია

მამა ელიზბარ დიაკონიძე: “ზიძინას ერთმა ტვინგახვრეტილმა გოგომ ჰკითხა... როდის მორჩება რელიგიური ექსტრემიზმი საქართველოში...”

ჩვენ უკვე ორი სასულიერო პირი დავსაჯეთ და კიდევ დავსაჯით, თუ გამოხტომებს ექნება ადგილიო [ზიძინა ივანიშვილის პასუხი]... გუშინ “სამება” რომ ამიშენა, იმ კაცმა ასე კი არ უნდა უპასუხოს, უნდა თქვას: თქვენ ცდებით, შვილო, რელიგიური ექსტრემიზმი არც ყოფილა და არც იქნებაო.”

იმედი, ღია ეთერი, 12 ივლისი

ლეიბორისტთა საპრეზიდენტო კანდიდატისა და პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის მხრიდან რესპუბლიკელების და ზიძინა ივანიშვილის ეკლესიებთან მებრძოლებად წარმოჩენის მცდელობას აქვს ადგილი. ამ კონტექსტში ის საპრეზიდენტო არჩევნებზე თავის კონკურენტს, მმართველი პარტიის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილსაც მოიხსენიებს.

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია: “ფაქტიურად ივანიშვილი არის რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, ის არ არის არანაირი ოცნების ლიდერი. ეს არის, მაგ გაგების კაცი, მაგ ფილოსოფიის კაცია, რასაც ისინი აკეთებდნენ წლების განმავლობაში – ეს არის ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, სხვადასხვა სექტების წახალისება, სექსუალური უმცირესობების გამოჭენება რუსთაველის პროსპექტზე პირდაპირ. ეს არის რესპუბლიკელების, მარგველაშვილების და ივანიშვილის იდეოლოგია.”

http://www.myvideo.ge/?video_id=2092258

მაესტრო, 14 ივლისი

მეუფე იაკობის საკვირაო ქადაგების ადრესატები როგორც პოლიტიკოსები, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები იყვნენ. წამყვანი სარედაქციო ტექსტში აღნიშნავს, რომ სასულიერო პირი სამთაწყაროში განვითარებულ მოვლენებს პოლიტიკოსების მიერ ქართველების ერთმანეთის წინააღმდეგ გადაკიდების მცდელობად აფასებს, უფლებადამცველებს კი დაფიქრებისკენ მოუწოდებს.

მეუფე იაკობი: „სოფლიდან წასულია ის ოჯახი, რომელიც მუსულმანებისა და ქრისტიანების დაპირისპირების არსებობის წარმოსაჩენად გამოიყენეს...”

ერთ-ერთი უცხოური ორგანიზაცია იყო, წინა ხელისუფლების დროს მახსოვს, როგორ კვლევებს დებდა ხოლმე. ახლაც რამდენიმე კითხვა იყო უშუალოდ, სამღვდელოებაზე. 17-ში სამღვდელოება რომ იყო გამოსული, თქვენი სირცხვილია, თორემ სამღვდელოების სირცხვილი კი არა. მარტო სამღვდელოება მოყვა, ასი ათასი კაცი იყო იქ, მთელს ერს შეურაცხყოფთ. რომ ჩატარდეს ერში გამოკითხვა, ხომ იცით, რომ ერთ პროცენტსაც ვერ აიღებთ?!.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ, რომ მართლმადიდებლები შემწყნარებლები ვართ. სხვა რელიგიებს ამას ვერ გაუბედავდით. ჩვენი სისხლი და ხორცი ხართ და ამიტომ გპატიობთ, რომ იქნებ მართლა დაფიქრდეთ. და ძალიან გთხოვთ, იქნებ სიკეთის გაკეთებით დაიწყოთ და რაღაც ერთი კონკრეტული სიკეთე ქვეყანას გაუკეთოთ და იქნებ მოგეწონოთ მერე მაგი და იქნებ შეიცვალოთ და ადამიანებს დაემსგავსოთ”.

http://www.myvideo.ge/?video_id=2093840



დავით აქუზარ-ღია, წამყვანი: “1 არხს მისცეს კულაშვილის კანტორამ [უზუნავსი სასამართლო] ნებართვა, რომ ყველა რაიონის მოსამართლე წარუდგინოს საზოგადოებას... ეკლესიაში დადის თუ არა? იელოვას მოწმებთან როგორ არის? ნდობას ეს ალაღვენს.”

რელიგია

იმედი, ქრონიკა, 14 ივლისი

ქრონიკამ იაკობის ქადაგების შედარებით ზემიერო ფრაგმენტი გააშუქა, სადაც მშვიდობიან თანაარსებობაზე იყო აქცენტი გაკეთებული.
<http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=9150>

ალია, 11 ივლისი

გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს “თანასწორობის ინსტიტუტის” წამომადგენელთან პაატა ვარდოსანიძესთან, ორგანიზაციის ინიციატივის შესახებ “სამართლისა და შერიგების კომისიას” კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ უხელმძღვანელოს.

მომამბე, 11 ივლისი

სიუჟეტი ასახავს ფონიჭალაში ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და სალაფიტებს შორის მიმდინარე დავას, რომელიც მშენებლობას შეეხება. სიუჟეტში წარმოდგენილია როგორც პროტესტის ორგანიზატორთა პოზიცია, რომ მათთვის მიუღებელია სოფელში ვაჭაბიტური მეჩეთის მშენებლობა; ასევე მერიის კომენტარი, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას ნებართვა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე აქვს გაცემული და თუ რა მიზნით გამოიყენებს მესაკუთრე შენობას, ეს მერიის კომპეტენცია არ არის და მშენებარე სახლის ერთ-ერთი მესაკუთრის განმარტება, რომ მიმდინარეობს არა მეჩეთის, არამედ კერძო სახლის მშენებლობა. სიუჟეტის ფინალურ ნაწილში კი მუსლიმთა სასულიერო პირის იმზიტ სულემანიოვის კომენტარია გადმოცემული, რომელიც ვაჭაბიტებს ქვეყნისთვის საფრთხედ წარმოაჩენს და ამასთანავე ამტკიცებს, რომ შენობაზე გუმბათის დადგმა იგეგმება.

http://www.myvideo.ge/?video_id=2091952

მომამბე, 12 ივლისი

სიუჟეტი შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეპარქიის მცდელობას, საქართველოს საპატრიარქოსგან დამოუკიდებლობას მიაღწიოს, რასაც მხარს არ უჭერს რუსეთის ეკლესია.

http://www.myvideo.ge/?video_id=2092941

რელიგიური დღესასწაულები

მუსლიმთა მარხვის რამაზანის დაწყება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა (10 ივლისი) და გაზეთმა “24 საათმა” (9 ივლისი) გააშუქეს. მუსლიმთა რელიგიური ტრადიციების შესახებ საოზგადოების ინფორმირება პოზიტიური გაშუქების მაგალითებია.

http://www.myvideo.ge/?video_id=2091146

<http://24saati.ge/index.php/category/news/2013-07-09/39274>

ცრურწმენები

ქრონიკა, 12 ივლისი

მიხეილ-გელა სალუაშვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი: „ვარდების რევოლუციად წოდებული სამხედრო გადატრიალება სწორედ მარკირების შემოღების პროცესმა განსაზღვრა. მარკირება ეს არის ანტიღვთიური გადაწყვეტილება, რომელიც ბიბლიური სწავლებით, ეს არის ის ნიშანი, რომელიც მარჯვენა ხელის ცერა თითზე ხდება. მარკირების პროცესიც სწორედ ამდაგვარია.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2092904

მაესტრო, ახალი ამბები 9-ზე, 14 ივლისი

სიუჟეტში წარმოდგენილია მხოლოდ მართლმადიდებელთა კრებულის პოზიცია ელექტრონული პირადობის მოწმობის ალტერნატივის მოთხოვნით. მართალია, ჟურნალისტი ორგანიზაციის მიერ გამართულ პრეზენტაციას ასახავს, მაგრამ რესპონდენტთა მხრიდან არასწორად ხდება აპელირება დასავლეთის გამოცდილებაზე, დოკუმენტურ მასალად წარმოდგენილია კერძო პირთა პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც თავისთავად არაფერზე მეტყველებს და კერძო პირთა ვიდეო ინტერვიუები, რის საფუძველზეც ექსპერტული დასკვნის გაკეთება, თუ რომელ ქვეყანაში რა რეგულაცია მოქმედებს, შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, სასურველია, ჟურნალისტი კრიტიკულად მიუდგეს წყაროს, ან თავად მოიძიოს შესაბამისი მასალა, ან კომენტარისთვის ევროკავშირის საელჩოს წარმომადგენელს ან კვალიფიციურ ექსპერტს მიმართოს, რათა მაყურებელთა შეცდომაში შეყვანა არ მოხდეს. მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, თუ რა უდევს საფუძვლად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განსხვავებულ მიდგომებს პირადობის ელექტრონულ მოწმობებთან დაკავშირებით - ცრურწმენა, როგორც ეს მართლმადიდებელთა კრებულის შემთხვევაშია, თუ პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული წუხილები.

http://www.myvideo.ge/?video_id=2093837

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

კვირის პალიტრა, 8-14 ივლისი

კახა თარგამაძე, შს ყოფილი მინისტრი: „იცი, რატომ ვცემე გივი თარგამაძე? წარმოშობით სომეხია, გვარად ოსიპოვი და რომ გავიგე, გვარი გადაკეთებული ჰქონია, თანაც თარგამაძედ, გავბრაზდი“. <http://www.kvirispalitra.ge/politic/15171-qasethi-qbanbanerkaq-qarthvelebis-arasodes-mesmodaq.html>

კავკასია, სპექტრი, 8 ივლისი

გადაცემაში დემოგრაფიულ პრობლემას ემიგრანტების თემას, ერთი მხრივ, რესპონდენტი უკავშირებს, ხოლო მეორე მხრივ, გადაცემის წამყვანი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამძაფრებს საკითხს, როდესაც ამ თეზას ჩინური ქალაქის აშენებასთან აიგივებს. თავისთავად თბილისში ჩინური ქალაქის აშენების შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამება რეალობას, რადგან თბილისის ზღვაზე მიმდინარე მშენებლობა წარმოადგენს ჩინურ ინვესტიციას და არა მშენებარე ჩინურ ქალაქს, როგორც ამას გადაცემის წამყვანი არაერთ გადაცემაში ამკვიდრებს (იხ. ასევე ბიულეტენი #4).

დავით ჭიჭინაძე: „ქვეყანაში ძალიან მწვავედ დგას დემოგრაფიული პრობლემა. თუ ადამიანებს სახლი-კარი არ ექნა, რა დემოგრაფიულ პრობლემებზე გვაქვს ლაპარაკი. ე.ი. ეს ქვეყანა უნდა გახდეს ემიგრანტების“...

დავით აქუბარდია, წამყვანი: „ზოდა ჩინურ ქალაქს აშენებენ“...
http://www.myvideo.ge/?video_id=2091295

ობიექტივი, 11 ივლისი

პირდაპირ ეთერში სატელეფონო ჩართვისას, მაცურებელი ემიგრაციის პრობლემაზე საუბრობს და სომხებსა და აზერბაიჯანელებს სტუმრების კატეგორიაში განიხილავს, რაც დისკრიმინაცია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ. პრობლემურია ის, რომ გადაცემის წამყვანი სოსო ზაალიშვილი იზიარებს და ეთანხმება მაცურებლის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ამ თვალსაზრისით სიტუაცია მიიმეა.

მაცურებელი, სატელეფონო ჩართვა: „მილიონ ნახევრამდე ქართველი ახალგაზრდობა სულ ემიგრაციაში იმყოფება. ორმილიონნახევრამდე ქართველი კაცია დარჩენილი იქ სხვადასხვა ეროვნების გარეშე და თქვენ იცით, ეს ეროვნებები ვინ არიან, ხო? ჩვენ სტუმართმოყვარე ვართ ვართ: სომხები, აზერბაიჯანელები და ასე შემდეგ. ჩვენ შემცირებულები ვართ. დარჩენილი არიან ბებრები, თქვენზე უფროსი თაობის ხალხი და გამიგეთ, ეს უკვე ის სიძლიერე არ არის.“

სოსო ზაალიშვილი, წამყვანი: „გასაგებია, ბატონო ჩემო, ძალიან მძიმე სიტუაციაა, ჩვენ ყველამ ვიცით, უბრალოდ, ჩვენ ვფიქრობთ, როგორ გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან.“

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი ავალდებულებს მაუწყებელს, თავი აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას (მუხლი 33. 2), ხოლო „თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს, ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით“ (მუხლი 33. 4). ეთნიკური კუთვნილების გამო საქართველოს მოქალაქეთა სტუმრებად მოხსენიება, შესაძლოა, არა მხოლოდ დისკრიმინაციული, არამედ შეურაცხმყოფელიც იყოს ხსენებული ჯგუფებისათვის.

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=12811>

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ GDI-ის 2013 წლის 6 თვის ანგარიში



გამოვიდა საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის ანგარიში, რომელშიც ცალკე თავი ეთმობა რელიგიური შეუწყნარებლობის თემას, ხოლო 17 მაისის მოვლენები შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების ხელყოფის კუთხით არის განხილული.

<http://gdi.ge/?p=374>



კახა თარგამაძე, შს ყოფილი მინისტრი: „იცი, რატომ ვცემე გივი თარგამაძე? წარმოშობით სომეხია, გვარად ოსიპოვი და რომ გავიგე, გვარი გადაკეთებული ჰქონია, თანაც თარგამაძედ, გავბრაზდი“.



აღ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო, 0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE



www.facebook.com/pages/მედიის-განვითარების-ფონდი-MDF-Media-Development-Foundation/275686875901735

სექსუალური უმცირესობები

კვირის პალიტრა, 8-14 ივლისი

ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება:
„მხოლოდ 17-მა მაისმა აღაშფოთათ? როდესაც იცის, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი აქცია რას გამოიწვევს, ხომ არის ამ აქციის ორგანიზატორი მოძალადე?... ვერ აკრძალავ ვერც ჰომოსექსუალიზმს, ვერც მრუმობას და ვერც კაცის კვლას. ეს კაცობრიობის თანმდევი მანკიერებებია... სახლში რაც გინდა, ის გააკეთე. მაგრამ თავს რომ აძლევ უფლებას, ქაშუეთის წინ გაიარო და შენი ხუმტური, ახირება თუ ავადმყოფობა ნორმად აქციო, ეს არ მომწონს... თუ ბრძოლას გვიცხადებენ, ჩვენც მოგვეცენ უფლება ბრძოლის ველზე გამოვიდეთ“...
<http://www.kvirispalitra.ge/politic/15171-qasethi-qbanbanerkaq-garthvelebis-arasodes-mesmodaq.html>

მაესტრო, 9 ივლისი

17 მაისის მოვლენებზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნის განხილვაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა პარლამენტთან ჰომოფობიური განცხადებების შეფასება მოითხოვა, რაც კოლეგიალობიდან გამომდინარე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გედევან ფოფხაძისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2090482

ალია, 10 ივლისი

17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენის შესახებ გაზეთი ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელის ზვიად ტომარაძის კომენტარს აქვეყნებს, რომელიც მომხდარს პროვოკაციად აფასებს და ამასთანავე აღნიშნავს, რომ ქართული საზოგადოების და ეკლესიის დამცველი არასამთავრობოები ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე ფართოდ იყენებენ წარმოდგენილი.

იმედი, ქრონიკა, 9 ივლისი

“ქრონიკაში” 17 მაისის მოვლენებზე საპარლამენტო განხილვის შესახებ მცირედი სინქრონი გავიდა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2090462

ასავალ-დასავალი 8-14 ივლისი

ლევან ანჯაფარიძე, რეჯისორი: “მათ არ აინტერესებთ ეროვნული თემატიკა, მათი პრიორიტეტია პედარასტებზე გაკეთებული ფილმები.... დარწმუნებული ვარ, კინოცენტრში ძალიან

ბევრი ლგბტ წარმომადგენელი, რომლებსაც ბოლომდე მაინც ვერ დამალავენ.”

ანტიდასავლური განწყობები ალია, 11 ივლისი

მამა ელიზბარ დიაკონიძე: “ეს რასმუსენი რას იმტუსნება, რა უნდა? რა გვინდა ჩვენ იმ ორგანიზაციაში, სადაც მამათმავლობა უფრო მოსწონთ? ამ ახალ ხელისუფლებას ამისთვის სცალია იმიტომ, რომ ჩემი სამშობლო ფეხებზე ჰკიდია”...

ასავალ-დასავალი 8-14 ივლისი

ფირუზ კინწურაშვილი: “ჩვენ ჩვეულებრივ ადამიანებს, არ გვაინტერესებს, რომელი პედარასტი, რას იტყვის ევროპაში ან ამერიკაში!”

ობიექტივი, დამის სტუდია, 14 ივლისი

გადაცემის წამყვანი, 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის შეფასების არასწორ ინტერპრეტაციას ახდენს, რაზეც ადეკვატურ განმარტებას რეიტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი აკეთებს.

ვალერი კვარაცხელია, წამყვანი: “მან [ანდრეს ფოგ რასმუსენი] თქვა, რომ თქვენ ლგბტ პრობლემა უნდა მოაგვაროთ. ეს რა არის, გეი-კლუბია, თუ?”

პაატა ზაქარეიშვილი, რეიტეგრაციის მინისტრი: “გეი-კლუბზე კი არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია, რომ კონსტიტუციით დადგენილი ნორმები უნდა სრულდებოდეს. მიტინგების და მანიფესტაციების უფლება უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს... როცა ჩვენ 17 მაისს ვებრძვი, ჩვენ იმას კი არ ვაკეთებთ, რომ გეების უფლება დაცული იყოს, არამედ ყოველი მოქალაქის უფლება უნდა იყოს დაცული, ვისაც უნდა ჩაატაროს მიტინგი და მანიფესტაცია.”

გია არეშიძე, წამყვანი: “... მთავრობა როგორ მოიქცა? მთავრობამ მოახერხა გაერიდებინა უმცირესობა, ძალადობა არ შედგა, არაფერი არ მოხდა. „არაფერი არ მოხდა“-ზე არის ატეხილი ამბავი და”...
<http://obieqtivi.net/tv1.php?id=12854>

